

შპს საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი).....	6
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (მოგება-ზარალი)	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	9
ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯები	15

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

შპს „საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისი“-ს
აკაკი ხორავას #1.
ქ. ქუთაისი, საქართველო

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისი“-ს (შემდგომში “კლუბი”) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას და ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯების ანგარიშგებას წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით, აგრეთვე ახსნა-განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებზე.

ჩვენი აზრით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აბზაცში განხილული საკითხისა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კლუბის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას და ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებაზე გაწეულ ხარჯებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ში აღწერილ სააღრიცხვო პოლიტიკას.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2019 წელს კლუბმა განიცადა მნიშვნელოვანი საოპერაციო ზარალი და კლუბის ვალდებულებები მნიშვნელოვნად აჭარბებს მის აქტივებს. როგორც განხილულია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 10-ში, კლუბს ამოეწურა ხელშეკრულების ვადა 2020 წლის 3 იანვარს საკრედიტო დაწესებულების მიმართ (550,000 ლარი), ხოლო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისადმი ვალდებულება უნდა დაფაროს 2020 წლის 30 დეკემბრამდე (300,000 ლარი). გარდა ამისა, კლუბს აგრეთვე გააჩნია მნიშვნელოვანი კრედიტორული დავალიანება თანამშრომლების (1,755,255 ლარი) და საგადასახადო ორგანოების მიმართ (438,843 ლარი). ზემოაღნიშნული მოვლენები მიუთითებს, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებდამა საწარმომ. ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში ადეკვატურად არ არის განმარტებული ეს საკითხი.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - *”აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”* - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კლუბისაგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტისათვის.

მნიშვნელოვანი გარემოებები - ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი და შეზღუდვა დასკვნის გავრცელებასა და გამოყენებაზე

ყურადღებას ვამახვილებთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ზე, სადაც აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი. ამის გამო, წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება შეიძლება არ იყოს შესაფერისი სხვა მიზნებისათვის. ჩვენი ანგარიში განკუთვნილია მხოლოდ კლუბისთვის, კლუბის დამფუძნებლისთვის, ფეხბურთის განვითარების ფონდისთვის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის და არ შეიძლება გავრცელებული ან გამოყენებულ იქნას სხვა მხარის მიერ, გარდა, კლუბის, კლუბის დამფუძნებლის, ფეხბურთის განვითარების ფონდის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ საკითხთან მიმართებაში.

სხვა გარემოებები

კლუბის 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 18 მარტს გამოთქვა მოდიფიცირებული მოსაზრება.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კლუბის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კლუბის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კლუბის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინებთ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინებთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავვეგმოთ კონკრეტული კარგე მოქმედების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კლუბის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კლუბის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კლუბი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა, ვადების და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

აპრილი 3, 2020

თბილისი, საქართველო



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან

ლიცენზიის მადიებელი:

შპს საფინანსო კლუბი ტორაქო ქუთაისი

საბალანსო უწყისი	2019	2018
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	14,383	25,091
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება	-	-
ჯგუფის სანარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება	37,883	-
სხვა დებიტორული დავალიანება	29,031	24,054
საგადასახადო აქტივები	-	-
მატერიალური მარაგები	-	67,731
სხვა მიმდინარე აქტივები	87,197	87,125
მთლიანი მიმდინარე აქტივები	168,494	204,000
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	101,037	407,019
არამატერიალური აქტივები - მოთამაშეები	-	243,943
არამატერიალური აქტივები - სხვა	4,367	5,460
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება	-	-
ჯგუფის სანარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება	-	-
საგადასახადო აქტივები	-	-
ინვესტიციები	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები	105,404	656,422
მთლიანი აქტივები	273,898	860,422
მიმდინარე ვალდებულებები		
ბანკის ოვერდრაფტები	-	-
ბანკის და სხვა სესხები	921,460	708,319
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება	-	-
ჯგუფის სანარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება	-	-
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	1,755,255	251,237
საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება	438,843	37,047
დარიცხული ვალდებულებები და გადავადებული შემოსავალი	339,144	402,936
მოკლევადიანი ანარიცხები	-	-
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	80,249	12,162
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	3,534,951	1,411,701
გრძელვადიანი ვალდებულებები		
ბანკის და სხვა სესხები	-	-
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება	-	-
ჯგუფის სანარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება/სესხები	-	-
თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებები	-	-
საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება	-	-
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	-	-
გრძელვადიანი ანარიცხები	-	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	63,735
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	-	63,735
სულ ვალდებულებები	3,534,951	1,475,436
მთლიანი აქტივები / (ვალდებულებები)	(3,261,053)	(615,014)
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო/საწესდებო კაპიტალი	3,844,718	2,843,468
გაუნაწილებელი მოგება	(7,105,770)	(3,458,482)
სხვა რეზერვები	-	-

მთლიანი საკუთარი კაპიტალი	(3,261,053)	(615,014)
მთლიანი საკუთარი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები	273,898	860,422
კონტროლი (მთლიანი აქტივები = მთლიანი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები)	TRUE	TRUE
მთლიანი კაპიტალის შესაბამისობის შემოწმება		
მთლიანი საკუთარი კაპიტალის საწყისი ბალანსი	(615,014)	(115,667)
პერიოდის მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდგომ	(3,756,988)	(2,589,809)
კაპიტალის გაზრდა/კონტრიბუცია საკუთარ კაპიტალში	1,001,250	2,090,462
ცვლილება გადაფასების რეზერვში	-	-
სხვა მოძრაობები საკუთარ კაპიტალში/რეზერვებში პერიოდის განმავლობაში	109,699	-
მთლიანი საკუთარი კაპიტალის საბოლოო ბალანსი	(3,261,053)	(615,014)
შემოწმება	TRUE	TRUE
წმინდა აქტივების/ვალდებულებების შესაბამისობის შემოწმება		
წმინდა აქტივები/ვალდებულებები - როგორც მოცემულია ზემოთ	-	-
წმინდა აქტივები/ვალდებულებები - მონაცემი წლიური ფინანსური ანგარიშგებიდან	-	-
შემოწმება	TRUE	TRUE
მოთამაშეთა რეგისტრაციის დანახარჯები		
დაგროვილი დანახარჯი პერიოდის დასაწყისში	1,033,557	593,673
პერიოდის განმავლობაში განეული დანახარჯი	30,187	439,884
დაგროვილი დანახარჯის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად	-	-
დაგროვილი დანახარჯი პერიოდის ბოლოს	1,063,744	1,033,557
მოთამაშეთა რეგისტრაციის ამორტიზაცია		
დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის დასაწყისში	789,614	581,126
პერიოდის ამორტიზაციის დარიცხვა	239,139	208,488
დაგროვილი ამორტიზაციის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად	34,991	-
გაუფასურების ანარიცხები პერიოდში	-	-
დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის ბოლოს	1,063,744	789,614
ნეტო საბალანსო ღირებულება		
პერიოდის დასაწყისში	243,943	12,547
პერიოდის ბოლოს	-	243,943
შემოწმება	TRUE	TRUE

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად [03.04.2020]-თვის. ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი:

დირექტორი: თეიმურაზი ჩეჩელაშვილი

თარიღი: 03.04.2020



საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (მოგება-ზარალი)

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან

ლიცენზიის მაძიებელი:

შპს საფეხვურთო კლუბი ტორაქო ქუთაისი

მოგება-ზარალის უწყისი	2019	2018
ამონაგები ბილეთებიდან - ეროვნული შეჯიბრებები	-	-
ამონაგები ბილეთებიდან - უეფას შეჯიბრებები	804	44,675
ამონაგები ბილეთებიდან - აბონემენტები	-	-
ამონაგები ბილეთებიდან - სანეკროები	-	-
ამონაგები ბილეთებიდან - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი	-	-
სულ ამონაგები ბილეთებიდან	804	44,675
სპონსორობა და რეკლამა - დამამზადებელი/მწარმოებელი სპონსორი	-	-
სპონსორობა და რეკლამა - ძირითადი სპონსორი	-	-
სპონსორობა და რეკლამა - სტადიონის სპონსორი	232,922	230,300
სპონსორობა და რეკლამა - რეკლამები მოედნის პერიმეტრზე და დაფებზე	17,733	12,566
სპონსორობა და რეკლამა - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი	-	-
სულ სპონსორობა და რეკლამა	250,655	242,866
ტელეტრანსლაციის უფლებები - ეროვნული შეჯიბრებები	-	-
ტელეტრანსლაციის უფლებები - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი	-	-
სულ ტრანსლაციის უფლებები	-	-
კომერციული - ეროვნული შეჯიბრებები	-	-
კომერციული - საქონლის გაყიდვა	260,032	-
კომერციული - ინფრასტრუქტურის გამოყენება არასამატჩო დღეებში	-	-
კომერციული - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი	4,100	1,034
სულ კომერციული	264,132	1,034
უეფას საკლუბო შეჯიბრებები - ტრანსლაციის უფლებები, კომერციული, საპრიზო ფონდი/თანხები	822,800	4,297,537
უეფას საკლუბო შეჯიბრებები - სოლიდარობის გადასახადი	90,450	86,387
უეფას სოლიდარობა და საპრიზო, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	-	-
სულ უეფას სოლიდარობის და საპრიზო თანხა	913,250	4,383,924
სუბსიდიები, შემონირულობები და სხვა თანხები ეროვნული საფეხვურთო ორგანოებიდან	7,725	10,305
სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან	2,085,466	2,592,179
შემონირულობები არადაკავშირებული მხარეებისგან	-	-
შენატანები/შემონირულობები დაკავშირებული მხარეებისგან	8,600	21,314
შემოსავალი არასაფეხვურთო საქმიანობებიდან	-	-
განსაკუთრებული (გამონაკლისი) შემოსავალი	-	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არა არის გამოყოფილი	1,800	-
სულ სხვა შემოსავალი	2,103,591	2,623,798
სულ შემოსავალი	3,532,433	7,296,297
რეალიზებული პროდუქციის/მასალების ხარჯები, რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი	-	-
სულ ხარჯები რეალიზებულ პროდუქციაზე/მასალებზე	-	-
ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება	(1,903,083)	(2,711,404)
ფეხბურთელები - გადასახადები და სოციალური შენატანები	(495,176)	(677,851)
ფეხბურთელების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი	(42,731)	(5,500)
სულ ფეხბურთელების მომსახურების ხარჯები	(2,440,990)	(3,394,755)
სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება	(2,193,259)	(2,970,297)
სხვა თანამშრომლები - გადასახადები და სოციალური შენატანები	(549,688)	(742,574)
სხვა თანამშრომლების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი	(4,509)	(3,750)
სულ სხვა თანამშრომლების მომსახურების ხარჯები	(2,747,457)	(3,716,621)
თანამშრომლების მომსახურების ხარჯები, რომლებიც ცალკე არა არის გამოყოფილი	-	-
სულ თანამშრომლების მომსახურების ხარჯები	(5,188,447)	(7,111,376)
ძირითადი საშუალებების ცვეთა	(65,534)	(40,332)

სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციისა)	(1,092)	(364)
ძირითადი საშუალებების და სხვა არამატერიალური აქტივების გაუფასურება	-	-
სულ (ცვთა, ამორტიზაცია და გაუფასურება (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციებისა))	(66,626)	(40,696)
მატჩის დღის ხარჯები	(83,957)	(185,381)
სპონსორობისა და რეკლამირების ხარჯები	-	-
კომერციული აქტივობების ხარჯები	-	-
უძრავი ქონებისა და სათავსოების ხარჯები	-	-
არასაფეხბურთო საქმიანობების ხარჯები	-	(1,502,912)
განსაკუთრებული (გამონაკლისი) ხარჯები	(34,752)	(80,969)
სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	(1,293,604)	(508,233)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	(1,412,312)	(2,277,495)
სულ საოპერაციო ხარჯი (ფეხბურთელების რეგისტრაციის გარეშე)	(6,667,385)	(9,429,567)
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (ფეხბურთელების რეგისტრაცია)	(239,139)	(208,488)
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაუფასურება (ფეხბურთელების რეგისტრაცია)	-	-
მოგება გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია)	-	-
ზარალი გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია)	-	-
წმინდა შედეგი ფეხბურთელების გაყიდვებიდან	(239,139)	(208,488)
კაპიტალიზაციისა და ამორტიზაციის მეთოდის გამოყენებით	(239,139)	(208,488)
მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან/გასვლიდან	(65,229)	-
მოგება/(ზარალი) სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან	-	-
სულ მოგება/(ზარალი) გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან	(65,229)	-
ფინანსური შემოსავალი	2,883	22,592
ფინანსური ხარჯი	(156,498)	(260,707)
წმინდა ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)	(153,614)	(238,115)
სხვა შემოსავალი (არასაოპერაციო)	-	42,596
სხვა ხარჯი (არასაოპერაციო)	(174,420)	(33,615)
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)	(174,420)	8,981
საგადასახადო შემოსავალი/(ხარჯი)	10,367	(18,917)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრის შემდეგ	(3,756,988)	(2,589,809)
დივიდენდები		
მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდეგ	(3,756,988)	(2,589,809)
დაბეგვრის შემდგომ მოგების ან (ზარალის) შემონმება:		
მოგება/(ზარალი) დაბეგვრის შემდეგ - როგორც ზემოთაა მოცემული	(3,756,988)	(2,589,809)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრის შემდეგ - მონაცემი წლიური ფინანსური ანგარიშგებიდან	(3,756,988)	(2,589,809)
შემონმება	TRUE	TRUE

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და
სანქცირებულია გამოსაცემად [03.04.2020]-თვის. ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს
უფლებამოსილი პირი:

დირექტორი: თეიმურაზი ჩეჩელაშვილი

თარიღი: 03.04.2020



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან

ლიცენზიის მადიებელი:

შპს საფეხპოვო კლუბი ტორაქო ქუთაისი

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი	2019	2018
წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან	(1,457,702)	(5,625,609)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფეხბურთელების რეგისტრაციების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	260,032	-
მოთამაშეთა რეგისტრაციების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები	-	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	135,415	-
ძირითადი საშუალებების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები	(14,084)	(403,339)
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან, რომელიც არ არის ცალკე გამოყოფილი	-	-
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან	381,363	(403,339)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - მენილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე	-	-
(გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - მენილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე	-	-
მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - საფინანსო დაწესებულებები	1,294,500	3,700,669
(გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - საფინანსო დაწესებულებები	(1,230,120)	-
სააქციო/საწესდებო კაპიტალის გაზრდით მიღებული ფულადი სახსრები	1,001,250	2,090,462
(გადახდილი) ფულადი სახსრები მენილეებისთვის/აქციონერებისთვის დივიდენდების გადახდიდან	-	-
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	-	-
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან	1,065,630	5,791,131
სხვა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა)		
წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საანგარიშგებო პერიოდში	(10,709)	(237,817)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების რეკონსილაცია		
საანგარიშგებო პერიოდის საწყისი ბალანსი	25,092	262,909
წმინდა ფულადი ნაკადები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში	(10,709)	(237,817)
საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ბალანსი	14,383	25,092
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გამოკლებული ბანკის ოვერდრაფტები (საბალანსო უწყისიდან)	14,383	25,092
შედარება საბალანსო უწყისთან		

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად [03.04.2020]-თვის. ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი:

დირექტორი: თეიმურაზი ჩეჩელაშვილი

თარიღი: 03.04.2020



ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

შენიშვნა 1: კლუბის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისი“ („კლუბი“) დაფუძნდა 2008 წლის 8 ივლისს ქალაქ ქუთაისში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლუბის მფლობელი იყო შპს „ინტერნეიშენალ სოქარ ჰაუს“-ი. 2019 წლის 23 დეკემბერს კლუბი მმართველობაში გადაეცა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს.

კლუბის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: ქ. ქუთაისი, აკაკი ხორავას #1.

კლუბის ძირითად მიზანს წარმოადგენს ფეხბურთის პოპულარიზაცია დ მისი განვითარების ხელშეწყობა, სპორტული ღონისძიებების შემუშავება, ორგანიზება, ჯანსაღი თაობის აღზრდა. კლუბის შემადგენლობაშია როგორც პროფესიონალური ასევე ახალგაზრდული გუნდები. კლუბი ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებისთვის აყალიბებს საფეხბურთო სკოლა-აკადემიას და უზრუნველყოფს ბავშვთა გუნდების მონაწილეობას სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში.

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა

- მომზადების საფუძველი**

კლუბი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისად. წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება“ მომზადებულია ამ ბუღალტრული ჩანაწერების საფუძველზე და საჭიროებისამებრ კორექტირებულია იმგვარად, რომ დააკმაყოფილოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) აღიარების, შეფასების და წარდგენის პრინციპები და მოთხოვნები.

წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება“ არ მოიცავს ყველა იმ ახსნა-განმარტებით შენიშვნას, რომელიც შესაძლოა მოთხოვნილი ყოფილიყო ფასს-ის მიხედვით.

წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება“ მომზადდა დარიცხვისა და ისტორიული ღირებულების პრინციპების გამოყენებით.

- ფინანსური ანგარიშგების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა**

ორგანიზაციის საოპერაციო და სააღრიცხვო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი

- უცხოური ვალუტის გადაფასება**

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

	დეკემბერი 31, 2019	დეკემბერი 31, 2018
ლარი / 1აშშ დოლარი	2.8677	2.6766
ლარი / 1 ევრო	3.2095	3.0701

- ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ბანკში არსებული ფულადი სახსრებისგან.

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

• ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები მოცემულია - ისტორიული ღირებულებას გამოკლებული ცვეთა. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით მთელი სასარგებლო მოსამსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მოსამსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

აქტივების ჯგუფი	სასარგებლო მოსამსახურების ვადა
ოფისის აღჭურვილობა	5-10 წელი
ავტო და სხვა ინვენტარი	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი

ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწერასთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი დგინდება ნარჩენ ღირებულებაზე დაყრდნობით და გაითვალისწინება მიმდინარე შედეგის განსაზღვრისას. ძირითადი საშუალებების მომსახურების ხარჯები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ხარჯების გაწევის მომენტში.

• შემოსავალი და დარიცხვები

კლუბის შემოსავლების ძირითადი წყაროებია: შემოსავალი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან, შემოსავალი ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან, შემოწირულობები, შემოსავალი სპონსორობიდან და სხვა შემოსავლები;

დაფინანსება / სუბსიდი - მიღებული დაფინანსებასთან/სუბსიდიასთან დაკავშირებული შემოსავლების აღიარება ხდება დაფინანსებით/სუბსიდიით დასაფარავი დანახარჯების ან ხარჯების აღიარების პროპორციულად, ისე რომ უზრუნველყოფილ იქნას მიღებული დაფინანსებით/სუბსიდიით დასაფარავი ხარჯებისა და შემოსავლების შესაბამისობა.

შემოწირულობა - შემოწირულობის სახით მიღებული ფულადი აქტივი შემოსავლად აღიარდება მისი მიღებისთანავე;

სხვა შემოსავალი - სხვა შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც ის მისაღები გახდება გაწეული მომსახურების შედეგად;

შენიშვნა 3. გარემო და ფუნქციონირებადი საწარმო

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ განიცადა სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები. როგორც განვითარებად ბაზარს, საქართველოს არ გააჩნია კარგად განვითარებული კომერციული ინფრასტრუქტურა, რომელიც ზოგადად უფრო განვითარებულ ბიზნეს ბაზარზე არსებობს. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყანაში მოქმედ ბიზნესებზე ექვემდებარება სწრაფ ცვლილებას. გარდა ამისა, ეკონომიკური სტაბილურობის გაგრძელება დამოკიდებულია მეტწილად მთავრობის მიერ მიღებულ ფისკალურ ზომების ეფექტურობაზე, საერთაშორისო საკრედიტო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებზე და ორგანიზაციის კონტროლს მიღმა სხვა ქმედებებზე.

2016 წლის თებერვლის თვიდან, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ შეიმუშავა ფეხბურთის განვითარების ხუთწლიანი პროგრამა, რომელშიც გაწერილია ყველა ის მიმართულება და პროექტი, რის განვითარებასაც გეგმავს სფფ. აღნიშნული პროგრამა დაამტკიცა საქართველოს მთავრობამ. ახალი ინიციატივის მიხედვით, შეიქმნა „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი“, რომელიც განკარგავს სახელმწიფო თანხებს შესაბამისი მიზნობრიობის გათვალისწინებით. ამგვარად, კლუბისთვის სახელმწიფო თანხებიდან დაფინანსების გამოყოფა მოხდება სწორედ ფონდის მეშვეობით. ფეხბურთის განვითარების ფონდის ძირითადი ამოცანებია: კლუბების დაფინანსების სისტემის მოწესრიგება, კერძო ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირება, საფეხბურთო განათლების დონის ამაღლება, ბავშვთა სკოლების საქმიანობის სტრუქტურირება, მოზარდი ფეხბურთელების რაოდენობის გაზრდა. 2016-2020 წლების ფეხბურთის განვითარების გეგმის მიხედვით ჩამოყალიბდა დაფინანსების ახალი პრინციპები, კერძოდ შეიქმნა: საბაზისო კალათა, ქულების საპრემიო კალათა, ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირების კალათა და საპრიზო კალათა.

შენიშვნა 3. გარემო და ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

2016 წლის ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად თანხების გადანაწილება გუნდებზე 2017-2020 წლების ჩემპიონატზე მოხდება დადგენილი კალათების მიხედვით (მათ შორის პრემიალური, საპრიზო და ა.შ) კერძოდ:

პროფესიული ლიგა 1 -სთვის კალათა შეადგენს 1,000,000 ლარიდან 3,344,444 ლარამდე;

პროფესიული ლიგა 2 -სთვის კალათა შეადგენს 700,000 ლარიდან 1,772,222 ლარამდე.

შენიშვნა 4. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულის ეკვივალენტები მოიცავს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საფეხბურთო კლუბის საბანკო ანგარიშზე არსებული ფულის ნაშთს ეროვნულ ვალუტაში (ლარში) – 14,383 ლარი (2018: 25,092 ლარი).

შენიშვნა 6. ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლუბის ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება წარმოადგენს დამფუძნებელ კომპანიაზე გაცემულ სესხს - 37,383 ლარს (2018: 0 ლარი).

შენიშვნა 7. სხვა დებიტორული დავალიანება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლუბის სხვა დებიტორული დავალიანება მოიცავს გადახდილ საავანსო თანხებს - 29,031 ლარს (2018: 24,054 ლარი).

შენიშვნა 8. ძირითადი საშუალებები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	სატრანსპორტო საშუალებები	საოფისე და კომპიუტერული აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მანქანა- დანადგარები	სულ
ისტორიული ღირებულება					
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	326,652	112,089	3,900	13,960	456,601
დამატებები	-	-	-	11,936	11,936
გასვლები	(300,885)	-	-	-	(300,885)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	25,766	112,089	3,900	25,896	167,652
აკუმულირებული ცვეთა					
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	(28,396)	(16,381)	(921)	(3,884)	(49,582)
პერიოდის ცვეთა	(25,715)	(25,508)	(594)	(11,303)	(63,120)
ჩამოწერები	46,087	-	-	-	46,087
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	(8,024)	(41,889)	(1,515)	(15,187)	(66,615)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	298,255	95,708	2,979	10,077	407,019
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	17,743	70,200	2,385	10,709	101,037

შენიშვნა 8. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	სატრანსპორტ ო საშუალებები	საოფისე და კომპიუტერული აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მანქანა- დანადგარები	სულ
ისტორიული ღირებულება					
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	7,185	33,755	3,900	1,695	46,536
დამატებები	312,739	78,334	-	12,265	403,339
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	319,924	112,089	3,900	13,960	449,874
აკუმულირებული ცვეთა					
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	(2,024)	(1,118)	-	(117)	(3,259)
პერიოდის ცვეთა	(27,413)	(7,520)	(921)	(3,742)	(39,596)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	(29,437)	(8,638)	(921)	(3,859)	(42,855)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	5,161	32,638	3,900	1,579	43,277
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	290,488	103,451	2,979	10,102	407,019

შენიშვნა 9. არამატერიალური აქტივები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლუბის არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფას - 3,656 ლარს, ხოლო 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლუბის ბალანსზე არსებულ ფეხბურთელებს - 243,943 ლარს და პროგრამულ უზრუნველყოფას - 5,460 ლარს.

შენიშვნა 10. ბანკის და სხვა სესხები

	31.12.2019				31.12.2018	
ხელშეკრულებით განსაზღვრული დაფარვის კადა	სს ვითიბი ბანკ ჯორჯია	საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია	დაკავშირებული მხარე	სულ:	სს ვითიბი ბანკ ჯორჯია	სულ:
2020 წლის 3 იანვარი	620,460	-	-	620,460	708,319	708,319
2020 წლის 30 დეკემბერი	-	300,000	-	300,000	-	-
ვალდებულებების სრულად შესრულებამდე	-	-	1,000	1,000	-	-
სულ ბანკის და სხვა სესხები:	620,460	300,000	1,000	921,460	708,319	708,319

შენიშვნა 11. სხვა საგადასახადო ვალდებულებები

2019 წლის 31 დეკემბრისთვის კლუბის საგადასახადო ვალდებულებები შეადგენს 438,843 ლარს (2018 წელს 37,047 ლარი).

საპენსიო სქემა - 2018 წლის 21 ივნისს საქართველოში მიიღო კანონი საპენსიო ფონდის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. დაგროვებითი საპენსიო სქემა 6%-იან შენატანს ითვალისწინებს. კერძოდ, დასაქმებული თავისი დასაბეგრი ხელფასის 2%-ს გადარიცხავს ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე, დამსაქმებელი ასევე გადარიცხავს დამატებით 2%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადარიცხება კიდევ 2%, როგორც დამსაქმებელი, ორგანიზაცია გადარიცხავს 2%-ს თავის მხრივ და ეს გადასახადები მოცემულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის კლუბის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 3,844,718 ლარს (2018 წელი: 2,843,468 ლარი).

შენიშვნა 13. სპონსორობა და რეკლამა - ძირითადი სპონსორი

სპონსორობა და რეკლამა - ძირითადი სპონსორი მოიცავს შემოსავალს სპონსორობიდან 232,922 ლარის ოდენობით. (2018 წელი: 230,300 ლარი).

შენიშვნა 14. საკლუბო შეჯიბრებები ტრანსლაციის უფლებები, კომერციული, სპრიზო ფონდი/თანხები; უეფას სოლიდარობა და სპრიზო, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი

საკლუბო შეჯიბრებები ტრანსლაციის უფლებები, კომერციული, სპრიზო ფონდი/თანხები და უეფას საკლუბო შეჯიბრებები - სოლიდარობის გადასახადი მოიცავს უეფა-დან მიღებულ თანხებს 913,250 ლარი (2018 წელი: 4,383,924 ლარი).

შენიშვნა 15. სუბსიდიები, გრანტები ან სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისაგან;

სუბსიდიები, გრანტები ან სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისაგან მოიცავს ფეხბურთის განვითარების ფონდიდან ჩარიცხულ თანხებს ეროვნულ ვალუტაში.

შენიშვნა 16. ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება

ფეხბურთელები - ხელფასი და ჯამაგირი შედგება ფეხბურთელების ანაზღაურებისგან.

შენიშვნა 17. სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება

სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ჯამაგირი მოიცავს ფეხბურთელების გარდა კლუბის სხვა თანამშრომლების ანაზღაურებას.

შენიშვნა 18. მატჩის დღის ხარჯები

მატჩის დღის ხარჯები ძირითადად მოიცავს: კლუბის მივლინების ხარჯებს, ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯებს, სამედიცინო მომსახურების ხარჯებს, სპორტული ინვენტარის ხარჯებს.

შენიშვნა 19. უძრავი ქონების და სათავსოების ხარჯები

უძრავი ქონების და სათავსოების ხარჯები ძირითადად მოიცავს მოედნის იჯარის თანხას.

შენიშვნა 20. სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი

სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი მოიცავს საწევრო გადასახადს და მწრთვლენთა ლიცენზირების ხარჯებს.

შენიშვნა 21: ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

- **სასამართლო დავები**

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კლუბი არ ყოფილა ჩართული რაიმე ტიპის სასამართლო დავაში.

შენიშვნა 22: საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე უკუვმირდება ეკონომიკურ სირთულეებს, რომელიც შესაძლებელია წარმოიქმნას ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებით. საქართველოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა რიგი ღონისძიებები, რომელთა შეზღუდვებს ბიზნესის ყოველდღიური საქმიანობა, კერძოდ: ქვეყანაში შეწყვეტილია ეროვნული ღემპიონატები, აკრძალულია ყველა სავარჯიშო აქტივობა, რასაც უდიდესი სპორტული და ფინანსური ზიანი მოაქვს სპორტის ამ სახეობისთვის. მენეჯმენტი ამ ეტაპზე აფასებს COVID 19-ით გამოწვეულ ფინანსურ შედეგებს.

შენიშვნა 22: საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები (გაგრძელება)

2020 წლის 7 თებერვალს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტს, იმერეთის სახელმწიფო რწმუნების ადმინისტრაციასა და ფაბიო მანინოს („ინვესტორი“) შორის გაფორმდა ურთიერთშეთანხმების აქტი კლუბის 100 % წილის ინვესტორზე გასხვისების შესახებ. ურთიერთშეთანხმების აქტის მიხედვით ინვესტორი კლუბის მმართველობაში გადაცემისთანავე იღებს ვალდებულებას დაფაროს კლუბის სახელფასო და სხვა ვალდებულებები, ასევე განახორციელოს კლუბში დამატებითი ინვესტირება.

2020 წლის 12 მარტს ჩანიშნულ სამთავრობო სხდომაზე საქართველოს მთავრობას უნდა მიეღო გადაწყვეტილება კლუბის ინვესტორზე გასხვისებასთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნული სხდომა არ შედგა და ჯერ არ არის გარკვეული სხდომის ჩატარების თარიღი.

კლუბის მენეჯმენტის განმარტებით კლუბის ინვესტორზე გადაცემის პირობები შეიცვალა და ამჟამად მხარეებს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები შეცვლილ პირობებთან დაკავშირებით.

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის მიერ საფეხბურთო კლუბების საქართველოში ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად 2020 წლის დაფინანსების შესახებ:

1. საბაზისო დაფინანსება - 700,000 ლარი
2. კლუბის ფინანსური სტიმულირება - 700,000 ლარი
3. საპრიზო და პრემიალური ფონდი - ეროვნულ ლიგაში თითოეულ მოგებულ თამაშზე 20,000 ლარი, ხოლო ფრეზე 6,500 ლარი.

ხოლო, ეროვნულ ლიგა 2-ში ასპარეზობის შემთხვევაში:

1. საბაზისო დაფინანსება - 500,000 ლარი
2. კლუბის ფინანსური სტიმულირება - 500,000 ლარი
3. საპრიზო და პრემიალური ფონდი - ეროვნულ ლიგაში თითოეულ მოგებულ თამაშზე 10,000 ლარი, ხოლო ფრეზე 3,300 ლარი.

ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯები

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან

ლიცენზიის მაპიჯავალი:

შპს საფეხბურთო კლუბი ტორაქო ქუთაისი

ახალგაზრდული ფეხბურთის სარჯებისა და შემოსავლების უწყისი	2019	2018	კომენტარი
სარჯები			
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები, იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც სრულად არიან ჩართული ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამაში	523,791	160,773	
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის (18-წლამდე)	15,770	-	
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის (19-დან 21-წლამდე)	58,806	-	
საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფის ხარჯები (ფეხბურთელების საცხოვრებელი, სასტუმროები და სხვ.)	-	-	
სამედიცინო დანახარჯები (სამედიცინო მომსახურება, რეაბილიტაცია, ვიტამინიზაცია)	4,084	-	
აფგ პროგრამაში ჩართულ პირთა (მწვრთნელები, ფეხბურთელები) სწავლის გადასახადი	-	-	
აფგ პროგრამით გათვალისწინებული მივლინებები (ტრანსპორტირების ჩათვლით)	18,301	11,800	
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების სადღელამისო დანახარჯები	-	-	
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების სპორტული ფორმა, ეკიპირება და ინვენტარი	-	-	
აფგ პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის ხარჯი (ახალგაზრდული გუნდების სავარჯიშო და სათამაშო სტადიონი და/ან ბაზა - მშენებლობა / მოვლა / ქირა; ოფისის კომუნალური გადასახადები / ქირა)	-	1,011	
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების ტურნირებში მონაწილეობის გადასახადი	6,300	7,950	
ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების საქმიანობაზე უშუალოდ მისაკუთვნებელი სხვა დანახარჯები - დააკონკრეტეთ კომენტარის გრაფაში! (მაგ.: ოპერატორი და სხვ.)	25	-	
სულ აფგ პროგრამის ხარჯები	627,078	181,533	
შემოსავლები			
უშუალოდ აფგ პროგრამის მთლიანი შემოსავალი (სწავლებისა საფასური, სანევროები და ა.შ.)	4,100	21,314	
უეფადან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის	90,450	-	
სფფ-დან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის	-	-	
სახელმწიფოსგან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის	50,000	-	
ახალგაზრდული ფეხბურთისთვის მისაკუთვნებელი სხვა შემოსავლები - დააკონკრეტეთ კომენტარის გრაფაში!	-	-	
უშუალოდ აფგ პროგრამისთვის მისაკუთვნებული მთლიანი შემოსავალი	144,550	21,314	
წმინდა შედეგი	(482,527)	(160,219)	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კატეგორიის მაძიებელი იურიდიული ერთეულის უფლებამოსილი პირის მიერ:

უფლებამოსილი პირი: **თეიმურაზი ჩეჩელაშვილი**

თარიღი **03.04.2020**

ფინანსური ანგარიშგება აუდიტირებულია აუდიტორული კომპანიის მიერ:

აუდიტორული კომპანია: **შპს შორო ეიზისი**

უფლებამოსილი წარმომადგენელი: **მიხეილ აბაიაძე**

თარიღი: **03.04.2020**



- დოკუმენტის დასასრული -